



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011738285012921

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

105655

12 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი:109464/17; **თარიღი:** 10.03.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: ქეთევან ზუმბაძე (პირადი ნომერი 01001032764)

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ქვედანაყოფი/ტერიტორიული სამსახური: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - საჯარო რეესტრი) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882021150318-03 (05.03.2021 წ.) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და უძრავი ნივთზე (საკადასტრო კოდი 01.11.12.005.015.01.101) იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირი: ოთარ თაბუკაშვილი (პირადი ნომერი 56001005310).

უძრავი ნივთის მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მასივი, IIIა მიკრო/რაიონი, კორპუსი №23, ბინა №101.

№ 109464/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამატარებელი გარემოება არ არსებობს.

№ 882021150318 (02.03.2020 წ.) სარეგისტრაციო განცხადებით საჩივრის ავტორი მოითხოვს უძრავი ნივთზე (საკადასტრო კოდი 01.11.12.005.015.01.101) იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაციას (მესაკუთრე: ქეთევან ზუმბაძე (პირადი ნომერი 01001032764), იპოთეკარი: ოთარ თაბუკაშვილი (პირადი ნომერი 56001005310)).

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმობაში ქეთევან ზუმბაძის №109464/17 (10.03.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.
 2. № 109464/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმობაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს: ოთარ თაბუკაშვილი (პირადი ნომერი 56001005310).
 3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს და ადმინისტრაციულ წარმობაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს;
 4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ გადანყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
 5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორექსონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
 6. წინამდებარე გადანყვეტილება, ასევე, საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
 7. გადანყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
- წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე